



საქართველოს დიპლომატიური ფედერაცია

„3” „04” 2018 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი ახალგაზრდებში
(დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2018 წელი
20-22 აპრილი
თბილისი – ბათუმი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოსტთა შერჩევა ახალგაზრდული ეროვნული ჩემპიონატისათვის;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 1998-2000 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოსტები.

IV. შეჯიბრის კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრი ჩატარდება ერთდროულად 21-22 აპრილს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.
- აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია.
- დასავლეთ საქართველო – ბათუმი, ბონის კულტურის სახლი.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს – თითოეული სპორტსმენი აწონვისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხვდება კენჭისყრის ბაღეში.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 20 აპრილი, წასვლის დღე – 23 აპრილი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე.

რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებ გვერდიდან (<http://gjf.ge/geo/calendar/georgia>), სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2018 წლის 18 აპრილამდე ელექტრონულად შეაქვებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 19 აპრილს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- სპორტსმენის მონაწილეობა დასავლეთ, ან აღმოსავლეთ საქართველოში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად ატარებს საწვრთნელ პროცესს მისი პირადი მწვრთნელი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;
21 აპრილი – 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ;
22 აპრილი – 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;
- აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდება 24 ძიუდოსტი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 8.

VI. აწონვა

აწონვა: თბილისში

20 აპრილი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

20 აპრილი ბათუმი, ბონის კულტურის სახლი

55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

21 აპრილი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

21 აპრილი ბათუმი, ბონის კულტურის სახლი

81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

საკონტაქტო პირი აღმოსავლეთ საქართველო - 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი დასავლეთ საქართველო - 579 06 46 06 ვახტანგ ზოიძე

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის 2 კგ-ით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი